№ 152
ივლისის 19, პარასკევი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 152
ივლისის 19, პარასკევი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“
ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია ასრულებს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

ასრულებს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნაოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ' უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და მდინარით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—4)

ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის, ალავერდის ეპისკოპოსის, განკარგულებისამებრ
საეკკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოებისა
ღია
სამშაბათ-ხუთშაბათობით 9—11 ს.
და კვირაობით 10—1 ს.

ვისაც სურს მუზეუმის დათვალიერება სხვა დღეს, კეთილ ინებონ მიჰმართონ მისს გამგეს მ. გ. ჯანაშვილს (კუკია, მინკვიცევის ქ., № 27).
(10—388—1)

გიორგი წერეთლის
დიდი სურათი
იყიდება: ტფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში—ლალიძესთან. ფასი 20 კაპეიკი.
(6—6.—4)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.
კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ვექილი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა
ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.
ნახვა შეიძლება დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე კვირა დღეობით, მარტო დილით 9—12, საათამდე.
საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე.
(10—9)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
კ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა.
(წ.)

მთავრობის განკარგულებანი

სამუშაო არტელების წესდება

(უმაღლესად დამტკიცებული 1 ივნისს 1902 წ.).

1. სამუშაო არტელად ითვლება ამხანაგობა, რომელიც შესდგა რომელიმე სამუშაოს ან მრეწველობის საწარმოებლად და აგრეთვე რომელიმე სამსახურისა და თანამდებობის აღსასრულებლად არტელის მონაწილეთა პირადის შრომითა, მათის საერთო ხარჯითა და ურთიერთის თავდებობით.

2. სამუშაო არტელების დაარსება შეიძლება ან წესდების ძალით, ან აწ მომქმედ დადგენილებათა ძალით ხელშეკრულობათა შესახებ.

3. წესდების ძალით დაარსებულ არტელებისათვის სავალდებულოა წესი ქვემორე მუხლებში (4—27) დადგენილი.

4. არტელის წესდება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ადგილობრივ გუბერნატორს, სადაც არტელის გამგეობა იმყოფება. დამტკიცებული წესდება, გუბერნატორის განკარგულებისამებრ, გამოცხადდება ადგილობრივს საგუბერნიო უწყებაში.

5. თუ გუბერნატორმა, რომელიმე დაბრკოლების გამო, არ დაამტკიცა წესდება, ერთის თვის განმავლობაში წესდების მიღების შემდეგ, უნდა წარუდგინოს იგი ფინანსთა მინისტრს, რომელიც გადასწყვეტს საეჭვო საკითხებს სათანადო უწყებასთან შეთანხმებით.

6. დასამტკიცებლად წარდგენილ არტელის წესდებაზედ ხელი უნდა ჰქონდეთ მოწერილი არტელის დამფუძნებელთ, არა ნაკლებ ხუთისა, და წესდებაში უნდა იყოს აღნიშნული:

ა) სახელწოდება, საგანი და ადგილი არტელის მოქმედებისა, ამასთანავე უნდა დანიშნული იყოს ვადა მოქმედებისა, თუ არტელი დროებით არსდება;

ბ) რა პირობით მიიღებიან წევრნი და შეგირდები, მათნი უფლებანი და მოვალეობანი, და აგრეთვე წესი თავის ნებით დათხოვისა და გამორიცხვისა არტელიდგან;

გ) რა პირობით, რა წესით და რაოდენათ შემოღებული იქმნება არტელში ქირით მუშაობა;

დ) რა წესით გადაეხდევინება წევრებს სასჯელი. ამასთანავე უნდა იყოს აღნიშნული უადრესი საზომი ფულის ჯარიმისა, რომელიც დაედება არტელის წევრს;

ე) რაოდენად აგებენ პასუხს არტელის წევრნი მის ვალდებულების ძალით, თუ ეს რაოდენობა განსაზღვრულია (მუხლი 19);

ვ) რომელს ვადაზედ და რომელის სხვა პირობით მიეცემა არტელიდგან დათხოვნილს ან გამორიცხულ წევრებს არტელის მიერ ხვედრი ფული, აგრეთვე ვადა, რომლის განვლამდი სხენებულნი წევრნი პასუხს აგებენ, არტელის ვალდებულების ძალით, თუ ამ პასუხის-გებისათვის დადგენილია ვადა უმეტეს ერთის წლისა (მუხ. 25).

ზ) რა წესით შესდგება, ინახება და იხარჯება არტელის ფული;

ტ) რა წესით შემოვა საწევრო ფული, რა წესით შეივსება არტელის ზარალი;

თ) რა წესით უნდა განეგოს არტელის საქმეები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ამ გამგეობის შედგენა, მისნი უფლებანი და მოვალეობანი და პირნი, რომელთაც უნდა შეადგინონ გამგეობა და პირობანი მათის არჩევისა. რა წესით უნდა წარმოებდეს სია არტელის მონაწილეთა და გამგეობის წევრთა, რა წესით სდგება განაჩენი საზოგადო კრებაზედ და ვადა ამ კრების მოწვევისა;

ი) საერთო საფუძველნი ანგარიშის წარდგენისა და წესი არტელის საქმეთა ლიკვიდაციისა.

არტელის წესდებას შეიძლება ჩაერთოს სხვა დადგენილებაც, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება.

7. ფინანსთა მინისტრის მიერ, სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, შეიძლება გამოცემულ იქმნას, სახელმძღვანელოდ სანიმუშო წესდება სხვა-და-სხვა გვარის სამუშაო არტელებისა.

8. წესდების დამტკიცების შემდეგ არტელის წევრთა საზოგადო კრება სცნობს არტელს დაარსებულად. ეს დადგენილება საზოგადო კრებისა უნდა ეცნობოს გუბერნატორს. ამ დადგენილების შემდეგ არტელი ითვისებს ყოველ უფლებას და მოვალეობას, ამ წესდებით მინიჭებულს.

9. არტელის წევრად შეიძლება იყვნენ ორივე სქესისანი, არანაკლებ 17-ს წლისა. არტელის წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია.

10. ჩვიდმეტ-თც-და-ერთ წლისანი მიიღებიან არტელში იმ პირობის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია წესდებით, მხოლოდ არ ექნებათ მონაწილეობა არტელის საქმეების მართვაში.

11. წესი არტელის წევრთა მონაწილეობისა მისს მუშაობაში საკუთარის შრომით განისაზღვრება ან წესდებით, ან წევრთა საზოგადო კრების მიერ.

12. არტელს შეუძლიან შეიძინოს ქონება, ნება აქვს ხელშეკრულობისა და ვალდებულების აღებისა; აქვს ნება აწარმოოს საქმეები და პასუხი აგოს სასამართლოებში. არტელს ნება ეძლევა ჰქონდეს სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებანი.

13. არტელს განაგებს მის წევრთა საზოგადო კრება, რომელიც ირჩევს საქმეების მართვისა და წარმოებისათვის საჭირო კაცებს. წესდებაში შეიძლება მოხსენებული იყოს არტელის წევრთა საზოგადო კრების მაგიერ, რწმუნებულთა კრება.

14. საზოგადო კრებაზედ ყველა წევრს აქვს ერთი ხმა. წევრს, რომელიც ვერ დაესწრება კრებას, შეუძლიან მიანდოს თავისი ხმა მხოლოდ არტელის წევრსავე, წესდების მიერ განსაზღვრულ პირობით.

(შემდეგი იქნება)

—

დანიშნულ იქმნა უმცროსი თანაშემწე ზაქათალის ოლქის უფროსისა კაპიტანი გველესიანი უფროს თანაშემწედ: უფროსი ჭარ-მუხარის საბოქაულოსი ზაქათალის ოლქში კაპიტანი მანსვეტოვი უმცროს თანაშემწედ იმავე ზაქათალის ოლქის უფროსისა; გადაყვანილ იქმნა პოდპოლკოვნიკი რილსკის პოლკიდან წინამძღვარიშვილი პუტიელის პოლკში; ჩარიცხულ იქმნა შტაბს-კაპიტანი ძნელაძე არტილერიიდგან ფეხოსანთა ჯარში; ებოძა ნადვორნი სოვეტნიკობა ფოთის სათადარიგო პოლკის ექიმს მიქაბერიძეს;

ებოძათ წმ. სტანისლავის ორდენი მე-2 ხარისხისა კომანდირს მე-5 გრენადერთა არტილერიის ბრიგადისას მუსხელაშვილს და კაპიტანს 77 ტენგინის პოლკისას აბულაძეს.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქში:

დანიშნულ იქმნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად ფოსტალიონები: ე. შომახია და ს. კაშია, ფოსტალიონებად: ტ. გვარამია, ა. ფანიაშვილი, ვ. ალექსანდრია, გ. იმნაძე, პ. ოყრეშიძე. დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან დ. გვარამია, ა. ქუთათელაძე, თ. თოკლიკიშვილი და ს. მათაძე.

ჩაირიცხა 11 ივლისს ს.-პეტერბურგის პოლკის პოდპორუჩიკი კარგარეთელი ტფილისის მაზრის გვარდიის ფეხოსანთა ჯარში სათადარიგოდ.

დავით ივანეს ძე უთნელიშვილი, რომელმაც კურსი გაათავა ს.-პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტზედ პირველ ხარისხის დიპლომით, დაინიშნა უმცროს კანდიდატად სამოსამართლო თანამდებობაზედ ტფილისის სამოსამართლო პალატის უწყებაში.

ტფილისი, 18 **ივლისს**.

სკოლის კეთილ-ნაყოფიერად წარმოება მეტად რთული საქმეა. სკოლის ყოველ-დღიური ვითარება და ცხოვრების მრავალ-ფეროვანი და რთული გარემოებანი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთ შორის. რამდენადაც ცხოვრების ვითარება რთულია, იმდენად სკოლის კეთილად წარმოების საქმე რთული და საძნელოა. სკოლა ყველგან თანამედროვე საზოგადოებრივის ურთიერთობის ღვიძლი შვილია და, თუ არაა, უნდა იყოს. სკოლისა და საზოგადოებრივ ვითარების დედა-ძარღვი ერთნაირად უნდა მოძრაობდეს. სკოლა და საზოგადოებრივი ცხოვრება ორი ორგანიულად დაკავშირებული ფაქტორია ძლიერ ზარდ თაობის აღსაზრდელად, ასე რომ რომელისამე ფაქტორის ამა თუ იმ მოვლენის აღსნა სათითაოდ, განკერძოვებით, ყოვლად შეუძლებელია. სკოლის თვითოეულ მოვლენის მიზეზი მჭიდროდ ჩაქსოვილია ცხოვრების ვითარებაში, და თუ ეს ვითარება არ იქმნა მართებულად გამოკვლეული, ძნელია რაიმე მსჯავრის დადება სკოლის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

სკოლის ყოველ-დღიური ცხოვრება ბევრს მაგალითს გვაძლევს ამის დასამტკიცებლად.

მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ ის სამწუხარო ინცინდენტი, რომელიც ამას წინად ბათუმის გიმნაზიაში მოხდა. ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის მოწაფე კვახაძე ბებუთით სიცოცხლეს ასალმებს ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე მასწავლებელ ქალს არნოლდის. ეს სამწუხარო ინცინდენტი სკოლის ცხოვრებაში მეტად საგულისხმიერო და ჩამაფიქრებელია.

საზოგადოება ბრალს ზოგი ვის სდებს, ზოგი ვის; იგი ამ ინცინდენტის გამოსულ სხვა-და-სხვა ნაირად ბჭობს. ჩვენის შეხედულობით ეს აზრთა სხვა-და-სხვაობა მხოლოდ იქიდგან წარმოსდგება, რომ ზოგჯერ სკოლის ამა თუ იმ მოვლენის მიზეზებს შეცდომით საზოგადოებრივ ცხოვრების გარეშე ვეძებთ, და, რასაკვირველია, ამიტომაც მოვლენის ამა თუ იმ ჭეშმარიტ ვითარებას ვეღარ ვიყენებთ თვალ-წინ. ჩვენდა სამწუხაროდ, სკოლისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ურთიერთ შორის ზედგავლენას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, და ამიტომაც სამწუხარო ინცინდენტების თავიდგან ასაცილებლად სკოლა ბევრჯერ საშუალებას მოკლებულია.

მიზეზი ხსენებულ სამწუხარო ინ-

ცინდენტისა იმალება სწორედ იმ ანორმალურ ვითარებაში, რომელშიაც, საზოგადოდ, ჟამთა ბრუნვის გამო, ჩაყენებულია აწინდელი სკოლა. მოწაფე კვახაძის და მასწავლებელ-ქალის არნოლდის პიროვნება სრულიად უცაბედი და შემთხვევითი მსხვერპლია იმ ანორმალურ ვითარებისა, რომელსაც აუცილებლივ უნდა წარმოეშობა ხსენებული სამწუხარო ინცინდენტი.

ყველასათვის აშკარაა, რომ თვით საზოგადოება, რომელიც სკოლისაგან მომავალ მოღვაწეებს გამოელის, სულ მცირედათაა დაინტერესებული შვილების სვე-ბედით, როცა იგი შვილები სკოლაში იმყოფებიან. მშობელმა თუ ბავშვი სკოლაში მიიბარა, ასე ჰგონია, მთელი მშობლიური მისსია სავსებით შევასრულეო. ყმაწვილის სწავლა-აღზრდის საქმე ბავშვის სკოლაში მიბარებიდგან სრულიად სკოლის მასწავლებლებს ეხვევა თავზე. ამის მიხედვით, აწინდელი სკოლის სამოღვაწეო ასპარეზი რაღაც განმარტოებულ საზღვრებითაა შემოფარგლული. ამ საზღვრებში მშობელთა ხმას, დახმარებას, რჩევას, ნებსით თუ უნებლიედ, ერთობ მცირე ყურადღება აქვს მიქცეული. მარტოდ-მარტო სკოლა-კი იმ დიად საქმისათვის, რომელსაც ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმეს ეძახიან, უძლურია. სწორედ ამ უძლურებით აიხსნება სკოლის ცხოვრებაში ის არა იშვიათი მოვლენა, რომელიც სკოლის ნაყოფიერებას ასე ასუსტებს და ძირს უთხრის.

მოწაფე სწავლის დროს სკოლისა და მშობლიურ კერის გავლენის ქვეშ იწვრთნება. სკოლა და ოჯახი ორი უმთავრესი ფაქტორია ყმაწვილების აზრდა-განვითარების საქმეში. თუ ამ ფაქტორების უმთავრესი საფუძველნი არ შევიგნეთ და არ შევისწავლეთ, მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდის საქმე ყოველთვის ყალბ ნიადაგზე იქმნება დამყარებული.

სკოლა ამ ჟამად განკერძოებულ დაწესებულებათაა მიჩნეული; საზოგადოება, ესე იგი, მოწაფეების მშობელთა კრებული, სულ მცირედს მონაწილეობას იღებს სკოლის სვე-ბედის მეთვალყურეებთან ერთად ყმაწვილ თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. სკოლასა და მშობელთა შორის მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს, სკოლის მასწავლებელ-აღმზრდელები და საზოგადოების წევრნი სულიერად დაკავშირებულნი, მეგობრულად, ერთის სულითა და გულით უნდა იღვწოდნენ მათის საერთო აზრის განსახორციელებლად, ერთმანერთის დახმარებით უნდა აწარმოებდნენ ასეთს რთულ საქმეს, როგორიცაა ახალთაობის სწავლა-განვითარება. თუ ამ გვარი ურთიერთობა არ არსებობს სკოლასა და საზოგადოებას შორის, სკოლა თავისს დიდს დანიშნულებას ვერ აღწევს და აბა, რა გასაკვირველია, რომ ჩვენს სკოლებში კვასაძეები ბლომად მოიძებნებოდეს.

უმთავრესი მიზეზი ბათუმის გიმნაზიის სამწუხარო ინცინდენტისა, ჩვენის შეხედულებით, იმალება თვით საზოგადოების და სკოლის შეუთანხმებლობაში, ინცინდენტის თავი და თავი მიზეზი მჭიდროდ ჩაქსოვილია იმ რთულ ვითარებაში, რომელშიაც დღეს-დღეობით მოღვაწეობს აწინდელი სკოლა. საზოგადოება და აწინდელი სკოლა ჯერ კიდევ ვერ გამსჭვალულან იმ აზრით, რომ მოზარდ ახალთაობის გონივრულად სწავლა-აღზრდის საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა ურთიერთ შორის მეგობრული კავშირი, ერთმანერთის დახმარება და საერთო საშუალებით საერთო ღონისძიების მიღება. სანამ ამ გვარი ურთიერთობა სკოლასა და საზოგადოებას შორის არ დამკვიდრდება, სანამ სკოლის მასწავლებელ-აღმზრდელები და მოწაფეთა მშობლები შეთანხმებულის ღონისძიებით არ იმოქმედებენ, მანამდის სკოლის ყოველ-დღიური ცხოვრება, ჩვენ-და სავალალოდ, არა ერთისა და ორის სამწუხარო ინცინდენტით აღიბეჭდება.

ტფილისი

◆ დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულის ლექსიკონის ბეჭდვა, რომელიც თითქმის წელიწადზედ მეტს ხანს შეჩერებულ იქმნა მ. შარაძის სტამბის დაკეტვის გამო, კვლავ დაიწყო. ლექსიკონს, როგორც ვიცით, ჰბეჭდავს წერა-კითხვის საზოგადოება თავის ხარჯით.

◆ ქალაქის თვით-მმართველობამ მოაწყო ორი დუქანი ხორცის ყიდვისათვის: ერთი მტკვარს გაღმა და ერთი გამოღმა. სასურველია, რომ ამ ორ დუქანს გარდა სამი ან ორი დუქანი კიდევ გამართოს ქალაქმა: ერთი ვერაზედ, ერთი ესრედ წოდებულ კალონიაში, მე-9 და მე-10 განყოფილების საზღვარზედ და ერთიც ავლაბარში.

ქალაქის დუქნებში, როგორც ვიცით, ჰყიდიან დამზადებულს კატლეტს, ბიფშტეკს, ანტრიკოტს და სხვ. კატლეტი ღირს 4 კაპ. ანტრიკოტი—15 კ. ბიფშტეკსი 20 კაპ. მარტო ხელს კაცს ადვილად შეუძლიან იყიდოს ეს უკვე დამზადებული სანოვაგე და თვითვე მოსწვას სახლში და მით ასცდეს რესტორანებსა და ტაბელ-დოტებში სიარულს.

შესაძლოა და ფრიად სასურველიც იქმნება, რომ ქალაქმა შემდეგ იაფი სასადილოც გამართოს ხორცის დუქნებთან უსასმელებოდ და აუარებელ ხელ-მოკლე ხალხს შეძლება მისცეს მცირე ფასად მარგებელი და მაძღრისი სადილი იქონიოს ხოლმე.

◆ 17 ივლისს ქალაქის გამგეობამ ქალაქის ტეხნიკოსების თანადასწრებით გარდასწყვიტა გადასდოს 989 მან. გადამდებ სენით შეპყრობილთა თავშესაფარის შესაკეთებლად.

◆ 17 ივლისს იყო კრება ქალაქის გამგეობისა და აღმასრულებელ კომისიისა, რომელმაც განიხილა სხვა-და-სხვა საგნები გარდაცვალებულ ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის აღსრულების შესახებ. კრებას დაესწრნენ: ქალაქის თავი შესტაკოვი, გამგეობის წევრნი: ენფიანჯიანცი და კოკჩაევი, გამგეობის წევრი და თავმჯდომარე აღმასრულებელ კომისიისა თ. ვასილ ჩერქეზიშვილი, წევრნი კომისიისა: ლუნკევიჩი, გრიქუროვი და ქალაქის ტეხნიკოსი ოგანჯანოვი. კრებას უნდა განეხილა, რა დროს და რა გზით შეუდგნენ შეუძლებელთა თავშესაფარის აშენებას ზუბალაშვილის სახელობაზედ. პირველადვე თავმჯდომარემ გააცნო დამსწრენი გუბერნატორის მოწერილობას, რომ მის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს მაგ საგნის შესახებ. აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარე თ. ჩერქეზიშვილი შეეკითხა კრებას: განაგრძოს კომისიამ მუშაობა ამ საქმეში, თუ შესწყვიტოს დროებითაო; კრებამ დაადგინა: განაგრძოს კომისიამ თავისი მუშაობა ამ საქმეში, ვიდრე ზუბალაშვილის ანდერძი განხორციელდებოდესო; შემდეგ კრებამ დაადგინა ზუბალაშვილის მიერ შემოწირული ფული შეტანილ იქმნას ბანკში სასარგებლოდ მხოლოდ სახლის აგების შემდეგ. შემდეგ კრებამ, განიხილა-რა თვით შენობის საქმე, დაადგინა: 1) ყველა ცნობა ზუბალაშვილის ანდერძის შესახებ მე-4 განყოფილებიდგან გარდაეცეს მე-3-მე აღმშენებელ განყოფილებას და დაევალოს ამ განყოფილებას, ხარჯი შეამციროს 80,000 მანეთამდე, რაიცა უკვე დამტკიცებული იყო 19 იანვარს 1902 წ., 2) ახლავე შეუდგნენ მიწის თხრას, რომლისთვისაც უკვე გადადებულია 5,000 მან.; 3) მუშაობის ზედამხედველად დაინიშნოს პროექტისა და ხარჯის შემდგენელი ბ-ნი ოგანჯანოვი, აგრეთვე დაევალოს მასვე, რომ 15 აგვისტოსათვის წარმოადგინოს ყველა ქაღალდები და გეგმა ქალაქის გამგეობის და კომისიის განსახილველად.

◆ ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით, შემოწირულებანი ცხინვალის დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ მიიღება მის კანცელარიაში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და გორში დაზარალებულთა დასახმარებლად შემდგარ კომიტეტის თავმჯდომარის მაზრის უფროსის პავლოვის მიერ.

◆ ტფილისის ებრაელთ საკმაოდ შეუგროვებიათ ფული და უყიდნიათ სანოვაგე და ჩასაცმელ-დასახური ცხინვალში დაზარალებულთა გასაგზავნად. ტფილისის ებრაელთ სთხოვეს რკინის გზის გამგეობას, რომ ყოველივე ესე უსასყიდლოდ გაგზავნოს რკინის გზით გორამდე.

◆ გაზ. „კავკაზს" სწერენ დეპეშით პეტერბურგიდგან, რომ 1903 წელს დაიწყება ხაზინის ხარჯით კეთება რკინის გზისა გუმბრიდგან (ალექსანდროპოლი) სპარსეთის საზღვრამდეო.

◆ გრაფინია უვაროვისამ, მოსკოვის საარხეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარემ, გამოუგზავნა ამ საზოგადოების ტფილისის განყოფილებას 450 მან. და სთხოვა, ამ ფულით გაგზავნეთ ექსპედიცია საეკლესიო და საისტორიო ნაშთთა და სიძველეთა აღსაწერად ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრაში, აგრეთვე არდაგანისაკენ, ართვინისა და ყარსისაკენაო. ექსპედიცია უკვე გაიმართა, როგორც მოხსენებული გვქონდა, გუშინ-წინ ბ ნ ექ. თაყაიშვილის მოთავეობით. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებს ფოტოგრაფს გარდა, ხუროთ-მოძღვარი ს. გ. კლდიაშვილი.

◆ უსინათლოთა სამზრუნველოს განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, 1 ივნისისათვის კასაში გვქონდა 17255 მან. 51 კაპ., ივნისში შემოვიდა 1693 მან. 4 კაპ., სულ შესდგა 18948 მ. 55 კ. ივნისში დაიხარჯა 1978 მ. 24 კ., დარჩა სულ. ივლისისათვის 16970 მ. 31 კ.-ო.

აქედან შემნახველ კასაშია 463 მ. 31 კ., მიმდინარე ანგარიშზედ საკომერციო ბანკში 6064 მან. 81 კაპ. ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში 10383 მან. 24 კ., ნაღდად განყოფილების კასაში 85 მ. 95 კ., სულ 16970 მან. 31 კაპ.

თვალის სამკურნალოს განყოფილებაში იყო ივლისს 525 ახალი თვალით ავადმყოფი. ძველ ავადმყოფებთან ერთად მისულან სამკურნალოში ეს სნეულნი 5697-ჯერ. ამავე ხნის განმავლობაში 103 ოპერაცია იქმნა გაკეთებული.

◆ ბ-ნ აბრამ კარლისსკის მიუმართნია ტფილისის გუბერნატორისათვის და სთხოვს, მიეცეს ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ. ზეთის სახდელ ქარხნის გამართვის ნება. ტფილისის გუბერნატორი ქალაქის გამგეობას სთხოვს შეატყობინოს, ხომ დაბრკოლება არა არის-რა ამ საქმეში ქალაქის მხრივაო.

◆ გუშინ, 17 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მთავარ-მართებლის თარჯიმანად ნამყოფის ლამბარაშვილისა, რომელსაც ბრალად ედებოდა მ. ჩიჩუას ქალის შეცდენა. რადგანაც მომჩივანმა გამოაცხადა, რომ შეურიგდი ლამბარაშვილსაო, ოლქის სასამართლომ მოსპო საქმე.

◆ მე-9 განყოფილების ბოქაულმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რომ დაავალოს მან თავის მუშებს, უფრო მუყაითად მოეკიდონ თავიანთ მოვალეობას და სუფთად ინახავდნენ ჩემს საბოქაულოში ქუჩებსა და მოედნებსაო; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელისაბედისა და ნემეცების ქუჩის უსუფთაობასაო.

◆ 16 ამ თვეს მე-10 განყოფილებაში, გოგოლის ქუჩაზედ ბ. ტიგრანოვის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც შინაურულის საშუალებით მალე ჩააქრეს.

ჩვენებური ამბები

ხაშურიდგან, საცა ნავთის მილის სადგურია, გადაუქაჩავთ ბათუმამდე 4 მილიონ ფუთზედ მეტი ნავთი.

—

სოჭში განუზრახავთ დაარსება პროგიმნაზიისა, რომელსაც პანსიონი ექმნება გულით სუსტ შეგირდებისათვის.

—

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის დირექტორი თავ. ვ. ი. მასალსკი შარშან შემოდგომაზე გაგზავნილი ყოფილა ბათუმის ოლქში სახელმწიფო მიწების დასათვალიერებლად. როდესაც თავ. მასალსკის ანგარიში წარუდგენია მიწათ-მოქმედების მინისტრისათვის, განუცხადებია, რომ ბათუმს მახლობლად გაიმართოს ფორთოხალისა, ლიმონისა, მანდარინისა და სხვა ნაზ-მცენარეთა სანერგეო. მინისტრს განუხილავს ეს განცხადება და მეტად სასურველად უცვნია ამ აზრის განხორციელება. მინისტრის მინდობილობით ამ დღეებში მიწათ–მოქმედების დეპარტამენტმა დაავალა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს გამოარკვიოს—არის თუ არა ქ. ბათუმის მახლობლად აღნიშნულ სანერგესათვის მოხერხებული სახელმწიფო მიწა. ამასთანავე დეპარტამენტი სთხოვს შეატყობინოს, რა დაჯდება სანერგეს გამართვა და მოწყობა.

—

ქ. ქუთაისი. შაბათს, 6 ივლისს, საღამოს ათ საათზედ, მიხაილოვის ქუჩაზედ, ქალაქის სამმართველოს პირდაპირ ერთი მხატვარი, გვარად ძაძიევი, შესულა ქეიშვილის სამიკიტნოში და ერთი ბოთლი ღვინო მოუთხოვნია; სმა რომ დაუწყვია, რაღაცაზედ გული მოსვლია და გინება დაუწყია ერთ იქ მჯდომ ახალგაზდა ყმაწვილისათვის. ყმაწვილს სწყენია, აუღია ბოთლი და ძაძიევისათვის უსროლია; ძაძიევი მაშინვე გარედ გამოსულა და განუწყვეტლივ გინება დაუწყია: „აბა, თუ კარგი ყმაწვილი ბრძანდები, გარედ გამოდიო." ამ ძახილში ქეიშვილი გამოსულა და დანახარჯის ფასი უთხოვნია. ძაძიევს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ქეიშვილს ლაზათიანი სილა გაურტყამს. ძაძიევს მარტო ხანჯალის პირი ჰქონია სახელოში, უძვრია და ქეიშვილისათვის მუცელში ჩაუკრავს და თვითონ გაქცეულა. მძიმედ დაჭრილი ქეიშვილი მაშინვე თოფურიას სამკურნალოში მიუყვანიათ და იქიდგან შინ მიყვანის დროს „თეთრ ხიდზედ" დაულევია სული. ძაძიევი მაშინვე შეიპყრეს, და საქმის გამოძიების შემდეგ მესამე დღეს გამოუშვეს.

ვ. კულაშელი.

—

დ. ხონი (ქუთაისის მაზრა): მკითხველებმა უწყიან, რომ აპრილის დამდეგს ხონში დაარსდა საზაფხულო თეატრი, კერძო პირის მიერ. წარმოდგენები ხშირად იმართებოდა, მაგრამ ამ წარმოდგენებს ძლიერ ცოტა ხალხი ესწრებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ დროს სოფლად გაკამათებული იყო აბრეშუმობა ეხლა, როდესაც სოფელში, ცოტად თუ ბევრათ, ფული შემოვიდა და ხალხმა იშოვა თავისუფალი დრო, თეატრი დახურულია! როგორც სჩანს, მხოლოდ ერთი თუ ორი კაცი ყოფილა ხონში თეატრის მოღვაწე. ერთი მათგანი—ბ. ვ. შავდია, რომელიც განშორდა ხონს, რადგანაც ხალხი უფრო მასწავლებელთა ჯგუფი, არ თანაუგრძნობდა მას და თეატრსაც არ ეკარებოდა. ბ. ვ. შავდიას წასვლის შემდეგ მისი თანამშრომელნი ყურსაც არ აპარტყუნებენ: თვე-ნახევარი გავიდა აგერ და მხოლოდ ერთი წარმოდგენა გაიმართა, რომელსაც არც ეკუთვნის „წარმოდგენა" ვუწოდოთ. აქამდის ათი წარმოდგენა მაინც უნდა გამართულიყო, მაგრამ ჩვენს ინტელიგენციას რად უნდა თეატრი და წარმოდგენა, თუ ღმერთმა საცეკვაო სალამოები არ მოაკლო! ეხლა, ჩვენი თეატრის ვითომც თანამშრომლებმა—ზოგმა სოფელ გუბში, ზოგმა სოფელ ჯიხაიში, გამართა წარმოდგენები.

თანამგრძნობელი.

—

ჭაგანი (ქუთაისის მაზრა). თითქმის ათი წელიწადია, რაც ხუთმა სოფელმა: (ჭაგანმა, კულაშმა, ეწერმა, გოხა-ჯიხაიშმა და ქვიტირმა) განიზრახეს სარწყავი წყლის გამოყვანა მდინარე ცხენის-წყლიდგან.

ამ საქმისთვის ამ ხუთმა სოფელმა თავიანთ სოფელში ამოირჩიეს თორმეტ-თორმეტი კაცი, საქმის მცოდნე და შეგნებულნი, რომელთა შორის თავადიც არის, აზნაურიც და გლეხებიც.

ამ ამორჩეულმა პირებმა თხოვნით მიჰმართეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, რომელმაც განონიერად სცნო ამათი თხოვნა და სარწყავი წყლის გამოყვანა ცხენის-წყლიდგან დაამტკიცა.

რა-კი მთავრობამ დაამტკიცა, მაშინვე გამოგზავნილ იქმნენ ინჟინერ-ტეხნიკოსები სათავის და სარხე ადგილების გასასინჯ-გასაზომად. სათავეც და სარხე ადგილებიც თითქმის ორი წელიწადია რაც დანიშნულ და გაზომილია, მაგრამ წყლის გამოყვანას-კი მაინც არა უშველა-რა. ამ ორს წყ-

---

ფელეტონი

საქართველო XII საუკუნეში.

თამარ მეფე *)

(1184—1213)

I

დიდებულთა ამბოხება და მათი დაწყნარება.—საეკლესიო კრება.—შემოსევა და განდევნა მტრებისა თამარის მეფობის პირველს წლებში.

თამარის წინაპრებმა საქართველოს დიდებულები მაგრად დაიმორჩილეს და მათ აფასებდნენ იმდენად, რამდენადაც ისინი ქვეყნისა და მათი ერთგულები იყვნენ. ამის გამო ბევრი დიდებულთა გვარი დამცრობილ იქნა და ის გავლენა და პატივი აღარა ჰქონდათ, რაც წინად. მათ მაგიერ მეფეებმა წინ დააყენეს სხვანი, რომელნიც წინად სხვებზე დაბლა იდგნენ. ამ გარემოებამ დაჰბადა უკმაყოფილება დამცრობილის დიდებულებისა. ისინი გულში ინახავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას და ეძიებდნენ უკეთესს შემთხვევას, რომ დაებრუნებინათ თავიანთი ძველებური გავლენა.

ამ ნაირ შემთხვევად უკმაყოფილო დიდებულებმა სცნეს თამარის გამეფება. იმათ ეგონათ, რომ თამარი, როგორც ქალი, ვერ შეიძლებდა ისე მტკიცედ მართვას, როგორც მისი წინაპრები; მიეცათ იმედი თავიანთ უფლების აღდგენისა და ხმა-მაღლა დაიწყეს ლაპარაკი: „აღარ დავემორჩილებით ძველთა ხელისუფალთა და გამგებელთა, ვინაიდგან მათგან დაცვრცილნი და უპატიონი ვართ, და გვარიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახოდ დარჩენილვართ უგვანთა და უხამთაგან". მეთაურად ამ უკმაყოფილოთა გამოუჩნდა მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლან. მის თაოსნობით უკმაყოფილო დიდებულები შეიკრიბნენ და დადგნენ ტფილისის ახლო ავლაბრის ველზე. აქ იმათ გადასწყვიტეს თამარისთვის შეეტყობინებინათ თავიანთი სურვილი იმის შესახებ, თუ რომელი მოხელე გამოეცვალა და ვინ გაემწესებინა. თვითონ ყუთლუ-არსლანს უნდოდა ამირსპასალარობა. თამარ მეფემ ამისთანა კადნიერებისთვის დააჭერინა ყუთლუ-არსლან. მისმა მომხრეებმა შეჰყარეს ლაშქარი და უნდოდათ თავიანთი მეთაური ძალით გაეთავისუფლებინათ. თამარმა მათ დასამშვიდებლად მიუგზავნა ორი მანდილოსანი ქალი: დედა ქართლის ერისთავის რატი სურამელისა ხოშაქ ცოქქელი და დედა სამძივარებისა კარავ ჯაყელი. ამათ პირით თამარმა მოსთხოვა დაწყნარება და დაჰპირდა პატივებას, თუ დამშვიდდებოდნენ. მოციქულების ჩაგონებით განდგომილები დაწყნარდნენ, მივიდნენ თამართან და ერთგულობის ფიცი მისცეს. ამის შემდეგ თამარმა მიღებულის წესისამებრ მოილაპარაკა დიდებულებთან და მათ რჩევით გამოსცვალა მხოლოდ ის მოხელენი, რომლებიც სიბერისა ან ავადმყოფობის გამო აღარ ვარგოდნენ სამსახურისთვის. მაგალ., ამირ-სპასალარობა ჩამოართვა ფილენჯისაგან დაუძლურებულს ყუბასარს და მისცა სარგის მხარგრძელს. ყუბასარსავე ეჭირა მანდატურთ-უხუცესობა. ეს თანამდებობაც ჩამოართვა თამარმა და მისცა ჭიაბერს. მსახურთ-უხუცესობა ჩამოართვა აფრიდონს და მისცა ვარდან დადიანს. თვით მეამბოხეთა მეთაურს ყუთლუ-არსლანს ჩამოართვა მეჭურჭლეთ-უხუცესობა და მისცა კახაბერ ვარდანიძეს.

სამოქალაქო გამგეობაში წესის ჩამოგდების შემდეგ თამარმა მოახდინა საეკლესიო კრება საეკლესიო წესების გასაუმჯობესებლად. ამ კრებისთვის თამარმა დაიბარა იერუსალიმიდგან ქართლის კათალიკოზად ნამყოფი ნიკოლოოზ გულაბრიძე, რომელსაც კათალიკოზობა დატოვებული ჰქონდა სიმდაბლისა გამო და რომელიც განთქმული იყო თავის წმიდა ცხოვრებით და სწავლით. კრებას დაესწრნენ საქართველოს მღვდელ-მთავარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი. ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო კათალიკოზი მიქელ, რომელიც თითონვე იყო საეკლესიო წესების დამრღვეველი. ამ კრებას ხელმძღვანელობდნენ ნიკოლოოზ გულაბრიძე და ანტონ ქუთათელი. კრებამ ჩამოაგდო წესიერება ეკლესიაში, გამოცვალა ბევრი ეპისკოპოზები და თვით მიქელ კათალიკოზის გადაყენებაც უნდოდა, მაგრამ არა ჰქნა კრებამ და მიანდო განგებას მისი დასჯა *).

საქართველოში ქალის გამეფება იამათ მტრებს, რომელთაც ეგონათ, რომ მეფე ქალს ვერ შეეძლო ისეთი წინააღმდეგობა გაეწია მათთვის, როგორსაც მის წინაპრები უწევდნენ. ამიტომ ისინი გათამამდნენ და იწყეს შემოსევა საქართველოში. პირველად შემოესივნენ რანისა და გელაქუნის თურქები და დაარბიეს პალაკაციოს მხარე, ძაღლის-ხევად წოდებული. მათ წინააღმდეგ გავიდა გამრეკელი კახაძე და მცირე ჯარით ბევრით უმეტესი მტერი გარეკა. ამათ შემდეგ შემოესივნენ შავშეთისა და კლარჯეთის მხარეს კარნუქალაქელი, შამელი და გარმიანელი თურქები. ესენიც სწრაფად განდევნეს კლარჯეთის ერისთავმა გუზან აბულასანიძემ და სამცხისა ბოცო ჯაყელმა. მტრების დასაწყნარებლად თვით ქართველებმაც გაილაშქრეს მხარგრძელების ზაქარია და ივანე სარგისის შვილების და ზაქარია და სარგის ვარამის შვილების წინამძღოლობით დვინის ქვეყანაში, საიდგანაც დაბრუნდნენ გამარჯვებულნი და ალაფით დატვირთულნი. მტრები მაინც არა სცხრებოდნენ და ესხმოდნენ საქართველოს სხვა-და-სხვა მხრივ. მაგრამ მტრების იმდი არ გამართლდა. ქართველები ყველგან მაგრად უხვდებოდნენ შემოსეულს მტრებს და თვით განაპირა ქვეყნების ერისთავები უკუ აბრუნებდნენ მათ თავიანთ ლაშქრით.

II

თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე.—ყივჩაყების სამსახური საქართველოში.—გიორგი რუსის ლაშქრობანი.—გიორგის ცუდის ქცევის გამოჩენა და მისი განდევნა საქართველოდგან.

თამარის გამეფებას თან მოჰყვა იმისთანა სამძიმო და დიდის საქმის გადაწყვეტა, როგორიც მის საქმროს შოვნა იყო. ქალის გამეფებით სამეფო გვარი უნდა გამოცვლილიყო და ვინ იცის მეფობა რომელს გვარს ჩავარდნოდა. ამიტომაც საქართველოს დიდებულები დიდს ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ ვის შეირთავდა თამარი. თამარი არა ჩქარობდა ქმრის შერთვას, მაგრამ დიდებულებსკი ეჩქარებოდათ, რადგან ჯერ ერთი ყველას უნდოდა მალე დაენახა, თუ ვინ გახდებოდა მომავალის მეფეების წინაპარი, მეორე მხრივ საჭირო იყო ტახტის მემკვიდრის ყოლა, რომ ყოველის შემთხვევისთვის თამარის შემდეგ ტახტი არ დარჩენილიყო უმეფოდ. თამარის შერთვის მსურველნი, რასაკვირველია, ბევრნი იყვნენ და ამათში ერთ-ერთის არჩევა იმოდენადვე დიდებულების საქმე იყო, რამდენადაც

---

*) ეს ნაწილი ჩვენის შრომისა წარმოადგენს იმავე შრომას, რომელიც ჩვენ მიერ დაბეჭდილი იყო 1893 წ. ცალკე წიგნად, შევსებულს ახალის ცნობებით, შესწორებულს ქრონოლოგიის მხრივ და გადაკეთებულს ისე როგორც მოითხოვს ახლანდელი მდგომარეობა ჩვენის ისტორიოგრაფიისა. აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიო, რომ ქრონოლოგია ამ შრომაში შესწორებულია თანახმად იმ წყაროებისა, რომლებიც დაბეჭდა ბ-ნმა ჟორდანიამ თავის ქრონიკების I ტომში.

*) უეჭველია, მიქელ კათალიკოზის კრებაზედ დაუსწრებლობის მიზეზი უნდა ყოფილიყო მისი ავადმყოფობა, რადგან სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ერთის მხრივ მისი არად ჩაგდება მეფისა და საეკლესიო კრებისა, როცა არ ესწრებოდა ამ კრებას, და მეორე მხრივ საეკლესიო კრების გაუბედაობა და მორიდება, როცა არ გადააყენა წესების დამრღვევი და მის არად ჩამგდები კათალიკოზი. ამას გვაფიქრებინებს „ქართლის ცხოვრების" სიტყვები მიქელის შესახებ: „თვით განაყენა ადრე სასჯელმან ღვთისამან".

დიწილში წვიმანი ამინდებიც იყო და ამიტომ ჭირ-ნახული კარგი მოსდიოდა ყველას. წრეულს-კი სულ სხვანაირი ჰავაა: მაისის პირველიდგან ამ ხუთს სოფელს, სადაც 5000 კომლი მცხოვრებია, წვიმა არ უნახავს და გვალვით ყანები დამის არის დაიწვას!

ეხლა-კი აყაყანდა ჩვენი გლეხ-კაცობა და მასთან „ჩლენები“, როგორც აქ უძახიან ამორჩეულებს, შეიქმნა თავ-ყრილობა და ხვაა-ბაასი, გამოეყვანოთ წყალი, თორემ დავიღუპებითო, ამბობდნენ დიდი და პატარა, მაგრამ წყლის გამოყვანა რანაირად შეიძლებოდა, როცა სათავე წყლისა საყიდელი იყო კერძო კაცებისაგან?! ამ სათავის უყიდველობის გამო სარწყავი წყალი აღარ ეღირსა ამ ხუთ სოფელს!

2-ს ივლისს, როგორც იყო, თავი მოიყარეს არჩეულმა კაცებმა; კრებას დაესწრნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილი ინჟენერებიც, რომელთა თანდასწრებით ინახულეს სათავის გასაჭრელი ადგილები. კომისიამ აღნიშნული ადგილები შეაფასა 2,500 მანეთად, რომელიც უნდა გადიხადოს ამ ხუთმა სოფელმა.

როგორც მიამბეს, ამ თავყრილობის დროს, დაბა სამტრედიიდგან გამოცხადდა ორი ამორჩეული კაცი.

ამ ორს კაცს მოლაპარაკება ჰქონია ერთ საპატიო პირთან, რომელიც მოთავეა წყლის გამოყვანის საქმეში და რომელსაც, როგორც ამბობენ, აღუთქვამს სამტრედიელებისათვის, —წყალს უსათუოდ მოგცემთო...

გაიგეს ეს ჭაგანელმა არჩეულმა კაცებმა თუ არა, ასტეხეს ერთი დავა-დარაბა, ჩვენს ადგილებში წყალი გამოაქვს და ის წყალი სამტრედიას მუქთად მიეცეთ, —ეს ვისი ბრძანებითაო? ან ვის აქვს უფლება ჩვენ დაუკითხავად ჩვენი წყალი გაყიდოსო? ამ საქმის თაობაზედ მთელი ჭაგანის სოფელმა მოიყარა თავი და ასე დაადგინეს: მიეცეს სამტრედიას წყალი, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათგან აღებული ფული მოხმარდეს სათავის საყიდლად ხუთსავე სოფელს და მასთან პირობა დასდვას სამტრედიამ მასზედ, რომ, როცა რწყვის დრო არის, თუ ჭაგანს წყალი სჭირია, მაშინ ძალით წყალი არ წაიყვანოს და არც საჩივარი განაცხადოს მთავრობასთანაო.

ამაზედ, რასაკვირველია, დაბა სამტრედიაც დასთანხმდება და ეხლა ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ წყალი მალე გვეღირსება, მაგრამ წრევანდელ მოსავალს-კი ვეღარ უშველის.

ჩვენში რომ თანხმობა და თანაგრძნობა ყოფილიყო და ათი წლის წინად ეს საქმე დაწყებულიყო, ხომ ამ ათის წლის განმავლობაში ასი და ორასი ათასი მანეთით წინ-იქმნებოდა ჩვენი სოფლები? მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენში არის „პარტიობა“, განხეთქილება, შური, აყალ-მაყალი და ამიტომაც ჩვენს სოფელს ჭაგანს, არავითარი წინსვლა და წარმატება არ ეტყობა!

სპირიდონ ხვიჩია.

—

ფოთი. აქაური ვაჭრის ვ. ი. თოფურიძის შრომით და მეცადინეობით აშენდა ჩვენი საკრებულო ტაძარი ძველის ხის საყდრის ადგილას. ეს მშვენიერი ტაძარი წარსულ შემოდგომის დამდეგს აკურთხა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ.

—

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ეს ჩვენის ქალაქისთვის ბუნების წყალობაა, ტაძრის ეზოც ეკუთვნის იმისთანა ადგილს, სადაც თითქმის ივლისშიაც არ არის დედა-მიწა გამშრალი, როგორც რიგია და ზამთარში ხომ ეკლესიაში მისვლაც არ შეიძლება კაცს, თუ არ ფიცრის ხიდების წყალობით. ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძეს წარსულ შემოდგომის დამდეგს, გვეპირდა ტაძრის ეზოს მოვაზოთინებ და შიგ ბაღს მოვაშენებთო. მართლაც გავიდა რამოდენიმე დღე; დაფაცურდნენ ეზოს მომზომავები, დააგეს ხელით საგორებელ ვაგონების ლიანდაგი, დაიწყეს რიონიდგან სილის ზიდვაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი თვე იყო თუ ცოტა მეტი, გახდა ქალაქის თავი ავად და მუშაობა შესწყდა, ბოლოს ლიანდაგიც მოშალეს. ჩვენ არ ვიცით, თუ მას შემდეგ რა მიზეზით არის მიტოვებული ეს საქმე. ამას-კი ვიტყვით, რომ თუ დაპირება ასრულებულიყო, სწორედ გვეთქმოდა: ბ-ნ თოფურიძის კეთილად აღსრულებულს საქმეს მარილი მოუყარაო.

—

ჩვენში სამიკიტნოები ბევრია, აღებ-მიცემობის დუქნებზე თითქმის არ ნაკლებია. თითქმის იშვიათად გავა უქმე დღე, რომ ზოგიერთ ამ სამიკიტნოში არ მოხდეს რაიმე უსიამოვნება. ბერძნის, გინა მიხეილის ქუჩებში, ყურთა სმენა აღარ არის მოქეიფეთა ყაყანისაგან.

თუმცა ქალაქის საბჭოს მოვალეობაა ქალაქში დაიცვას მყუდროება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საგანზე ჩვენის ქალაქის საბჭოს ჯერ ერთხელაც კრინტი არ დაუძრავს. ჩვენს მიკიტნებს-კი სულით და გულით უნდათ ქალაქის საბჭომ დაადგინოს, რომ ხმა მაღლა უვირილით სიმღერის ნება დუქანში არავის ჰქონდეს.

—

12 ამ თვეს ვიღაცა სამმა აჭარელ მაჰმადიანებმა მოაჭენეს ცხენი და ჩამოხდნენ აქ კოკაიას რესტორანში. მათ განუცხადეს პოლიციას, რომ ვიღაცამ 100 მ. ფული წაგვართვაო. შემდეგ მიუთითეს ხელი ვიღაც წითელ ჩოხიანს კაცზედ: „ეს არის ფულის წამრთმევიო“; პოლიციამ შეიპყრო. თურმე ამ თათრებს ამ დღეებში მოეტანათ აქ რაღაცა სოფლის ნაწარმოები და გაეყიდათ. შემდეგ დაბრუნებულიყვნენ შინ. ფოთიდგან ორი ვერსის მანძილზე მათ დახვედრია ვიღაც ბოროტ-განმზრახველი კაცი, რომელსაც ამოღებული რევოლვერი ჰქონია ხელში და უბრძანებია მათთვის: „ფული მომეცით ჩქარაო“. საწყალი მაჰმადიანები ჯერ უარზე დამდგარან, მაგრამ მაინც, რაც ჰქონიათ, ყოველივე მიუციათ. დაჭერილი კაცი პოლიციამ სადამოს უკვე განთავისუფლა, რადგან, სამწუხაროდ, იგი აღმოჩნდა ვიღაცა ზუგდიდელი კარგი პატიოსანი ვაჭარი, აქ საქონლის საყიდლად ჩამოსული, კოკაიას რესტორანში დაბინავებული და ამ საქმის არაფრის მცოდნე. —ასე, ქურდმა ერთი ცოდვა ჰქნაო, დამკარგავმა ათასიო.

—

გუშინ, 14 ამ თვეს, აქაურ ბაზარში ერთი ვიღაცა დატაკი გლეხი, გვარად ზარანდია, საყელო-გახსნილი საცოდავად ვაი-ვაის ყვიროდა. თურმე საწყლისთვის ვიღაც ჯიბგირს ჯიბიდგან 25 მ. ამოეცალა. საწყალს ფოთიდგან სამოცი ვერსის მანძილზე მდებარე სოფლიდგან მოტანილ და აქ გაყიდულ ხილიდგან ჰქონდა აღებული.

—

ზოგიერთნი გაჟამტონები დათვრებიან და დადიან ხან ფეხით და ხან ფაეტონით ქუჩებში და რევოლვერს თავისუფლად ისვრიან, თითქოს ეს აკრძალული არ იყოს მათთვის! ამ თვის 11-ს ერთი აქაური ვაჭარი მიდიოდა საღამოს ცხრა საათზე თავის სახლში, ვიდაც ბოროტ-განმზრახველი დასდევნებოდა, დასწეოდა, ესროლა სამჯერ რევოლვერი და გაქცეულიყო. მარცხი არაფერი მომხდარა.

—

გუშინ საღამოს აქაური თერძი შეუვარდა ისევ ფავის მოხელე მეზობელს და დასჭრა, ხოლო, როდესაც პოლიციელებს მიჰყავდათ, იძრო უცბად ხანჯალი, რომელიც წაღის ყელში ჰქონოდა დამალული და გადისროლა შორს. მალე ხანჯალი სადღაც დაიკარგა. ბევრი ეძებეს ხანჯალი, მაგრამ ვეღარ იპოვნეს. თერძი დაპატიმრებულ იქმნა.

ბაზარში სოფლის ნაწარმოები მეტად ძვირობს, განსაკუთრებით სიმინდი. სიმინდი აქ იყიდება 80—85 კ., ხოლო სიმინდის ფქვილი 1 მ. 25 კ.—1 მ. 30 კ.

ნოქართაგანი.

კავკასია

გზათა სამინისტროს აღუძრავს ლაპარაკი, რომ ქალაქ კავკავში დაარსდეს სარკინისგზო-სატეხნიკო სასწავლებელი.

—

შავის ზღვის პირად კავკასიაში ვენახის გამშენებელთა და ღვინის დამყენებელთა ამხანაგობამ ოფიციალურად აცნობა ფინანსთა სამინისტროს, რომ მოქმედება ჩვენის ამხანაგობისა უკვე დაიწყოო. ამხანაგობის გამგეობას ბინა ნოვოროსიისკში აქვს.

—

სოფ. ნებითი-ქრისტიანი (კავკავის მაზრა). ამ ივლისში აქ ოთხ-ფეხ საქონელს გამოურკვეველი სენი გამოაჩნდა. საკვირველია, ამ სოფელში მცხოვრებნი ავადმყოფ საქონლის ხორცს არ ერიდებიან და არხეინად შეექცევიან. ათს ამ თვეს, ერთს მოსახლეს ხარი გაუხდა ავად და, რომ შეატყო ხარი აღარ მორჩებაო, დაჰკლა; თავადაც ოჯახობით შეექცნენ და სხვებზედაც გაჰყიდეს ხორცი, რასაკვირველია, იაფად. ამნაირად, ამ ავადმყოფ ხარის ხორცის ჭამით 50 სული ადამიანი, საშიშრად გახდა ავად, რომელთაც დაემართა ფაღარათობა, გულის-რევა და თავის ტკივილი; ეს ამბავი საჩქაროდ აცნობა მაზრის უფროსს და მაზრის ექიმს ადგილობრივმა ფერშალმა.

—

სოფ. დარკოხი (კავკავის მაზრა). აგერ ათი წელიწადი მეტია, რაც ამ სოფელში ერთი თოფების მკეთებელი ლეკი სცხოვრებდა. ამ ერთი კვირის წინად ეს ლეკი ვიღაცას გაეტყუებინა სოფლის თავში და მოეკლა. ეჭვი მიიტანეს ოთხს აქაურ მცხოვრებ ყმაწვილ ბიჭებზედ და ოთხივენი შეიპყრო გამომძიებელმა.

—

ბარის ოსეთი. წელს აქეთ ფუტკარი სულ გაფუჭდა; თუმცა შარშანაც დაზარალდა, მაგრამ წელს არც გამოვიდა და, ასე გასინჯეთ, მომეტებულთ თავისთვის საჭირო თაფლიც ვერ შეიტანეს. მეფუტკრე ოსები ამბობენ, რომ ფუტკარს სამყოფი საძოვარი მინდორი აღარა აქვს, სულ ყველგან სიმინდებს სთესავენ და ფუტკარიც იმიტომ აღარ ხეირობსო.

რუსეთი

სოფელ ლიგაჩევის მცხოვრებთ (მოსკოვის ახლოა; ეს სოფელი განთქმულია თავის სადურგლო მრეწველობით) ხელ-ახლად აღუძრავთ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, დაჰხურეთ სახაზინო ღვინის დუქანიო, რადგან მისი გახსნის შემდეგ ერთობ იმატა ლოთობამაო. ასეთი შუამდგომლობა არა ერთხელ აღუძრავთ ამ სოფლის მკვიდრთა, მაგრამ არ იქმნა შეწყნარებული. ეხლა, როგორც ამბობენ, ადგილობრივ მემამულეთ, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ პეტერბურგში, გადაუწყვეტიათ, პირადად ინახულონ ბ-ნი ფინანსთა მინისტრი და სთხოვონ, რომ ლიგაჩევის მცხოვრებთა შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნას.

— სააქციზო გადასახადთა ზოგიერთს გამგეს, საცდელად, სახაზინო ღვინის დუქნებში, მოსამსახურეთა სამუშაო დღე ერთი საათით შეუმცირებია, ე. ი. ათის მაგივრად 9 საათია. ამ ზომას საუცხოვო შედეგი ჰქონია: წარმოებასაც უმატნია და ნამუშევრის თვისებაც გაუმჯობესებულა. ამის გამო, მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ფინანსთა სამინისტრომ შესაძლოდ სცნო, მიეცეს ნება ყველა სააქციზო გადასახადთა გამგეთ, რომ საცდელად (და არა როგორც დაკანონებული დადგენილება) შემოიღონ 9 საათის მუშაობა არსებულის 10-ს მაგივრად, მაგრამ ფრთხილად-კი უნდა იყვნენ, რომ ამ შეღავათმა წარმოება არ აზარალოს.

უცხოეთი

ინგლისი. ირლანდიის საპარლამენტო დასს დაუდგენია, გვირგვინის კურთხევის დღეს მიტინგი მოახდინოს დუბლინში. როცა პალატაში მსჯელობა ექნებათ გვირგვინის კურთხევის გადადების შესახებ, ირლანდიის დასის მეთაური, ედმონდი დაასახელებს იმ მიზეზს, რომლის გამოც ეს დასი დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.

— ამ დღეებში კორკის საგრაფოს შეერთებულ ირლანდიის ლიგის აღმასრულებელს კომიტეტს კრება ჰქონია საგრაფო საბჭოს დარბაზში; კრებას, სხვათა შორის, დასწრებიან ჯონ რედმონდი და ვილიამ ო'ბრაიენი.

დაიწყო თუ არა კრება, შემოვიდა საგრაფოს მთავარი შერიფი პოლკოვნიკი ჯონსონი და განაცხადა, განკარგულება მივიღე ტელეფონით, რომ მიტინგის მოხდენა შეუძლებელია, რადგან საგრაფო საბჭოს დარბაზს საპოლიტიკო საკრებულოდ ვერ გავხდითო. ამაზედ შემდეგ პასუხი გასცა ო'ბრაიენმა: „ვინც უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ეხლა ლაპარაკობდა, მას ისე უნდა შევხედოთ, როგორც ჩვენის ბჭობა-თათბირის ხელის შემშლელს. ამ დარბაზში მყოფნი ხალხის წარმომადგენელნი ვართ და, მაშასადამე, ვერავითარი ბრძანება დუბლინის ციხე-დარბაზისა (ვიცე-კოროლის სამყოფია) ვერ გვაიძულებს აქედგან გასვლას“. შერიფი მაინც თავისას არ იშლიდა, შესწყვიტეთ მიტინგიო; ასტყდა საოცარი ხმაურობა და გაისმა ხმები: „ფანჯრიდგან გადააგდეთ ეგაო!“ მაშინ-კი განაცხადა ბ-ნმა ჯონსონმა, ჩემი მოვალეობა შევასრულე და ეხლა-კი გიახლებითო. კრებამ თათბირი განაგრძო.

საფრანგეთი. დახურულ საკონგრეგაციო სკოლებში მასწავლებლად ნამყოფ მონოზნების წასვლის გამო ტერნის უბანში ერთი ეკლესიის წინ დიდი მანიფესტაცია მოხდა.

პოლიცია ჩაერია და უნდოდა გაეფანტა მანიფესტანტები, მაგრამ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და რამდენსამე პოლიციელს ჯოხითაც სცემეს. ბევრი მათგანი დააპატიმრა პოლიციამ; სხვათა შორის, ორი ქალაქის ნაციონალ-ხმოსანიც, მაგრამ იგინი მალე განათავისუფლეს. ბრბო უყვიროდა პოლიტიას: „გაუმარჯოს დებს, გაუმარჯოს თავისუფლებასაო“! მცირე ნაწილი-კი იძახოდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, ძირს იეზუიტებიო!“ მაგრამ ამ უკანასკნელთ ყურადღებას არავინ აქცევდა. პოლიციამა და ცხენოსან ჟანდარმებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში მანიფესტანტებზედ. ამავე დროს დემურის ქუჩაზედ მოხდა მანიფესტაცია. მთელი რაზმი ახალგაზდა ქალებისა და ვაჟებისა ბაირაღებით დადიოდა ქუჩა-ქუჩა და მღეროდა. ბოლოს მიატანეს ლათინთა უბნამდე; დასძახეს მარსელიეზა და შეჰქნეს ყვირილი: „გაუმარჯოს დებს! ძირს აბატი კომბიო!“ (კომბი თურმე ერთ დროს მღვდლად ემზადებოდა); პოლიციამ, როგორც იყო, ეს მანიფესტანტებიც გაჰფანტა. მანიფესტაცია მოხდა აგრეთვე პანთეონის მოედანზედაც; აქ მოიყარეს თავი სოციალისტებმა და კონტრ-მანიფესტაცია გაჰმართეს; მღეროდნენ რევოლიუციონურს სიმღერებსა და ჰყვიროდნენ; „გაუმარჯოს რესპუბლიკას, ძირს ხუცესნიო!“ პოლიცია მიჩენილი იყო, რომ წესიერება არავის დაერღვია, მაგრამ მანიფესტანტებს წყნარად ეჭირათ თავი და არც პოლიცია შეჰხებია მათ.

თუმცა პარიჟში—რომელიც დედა-ბოძია ნაციონალიზმისა—საზოგადოების უმრავლესობა მთავრობის წინააღმდეგია, მაგრამ სამაგიეროდ პროვინციაში დიდად კმაყოფილნი არიან მთავრობის განკარგულებისა საკონგრეგაციო სკოლების დახურვის შესახებ.

კომბს ათასობით მოსდის ადრესები და მისალოცი ბარათები, რომ იგი ასე მედგრად შეუდგა ასოციაციათა კანონის განხორციელებას.

ესპანია. კათოლიკეთა კონგრესი სანტიაგო დი-კამპოსტელაში ოთხ ჯგუფად დანაწილდა. პირველმა უნდა განიხილოს პაპის საერო უფლების საკითხი; მეორემ—კონგრეგაციათა მფარველობის შესახებ; მესამემ—თუ როგორ მოეწყოს თავისუფალი (?) სწავლების საქმე ეკლესიის ზედამხედველობით; მეოთხემ სოციალური საკითხი. კარდინალმა კამპოსტელამ ბევრი ილაპარაკა იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უნდა შეადგინონ კათოლიკეებმა ფრანკმასონობასთან საბრძოლველად.

გერმანია. ნახევრად ოფიციალური გაზეთი „Wossische Ztg“-ი ადასტურებს იმ ხმებს, რომ ახლად დამტკიცებულ ხელშეკრულობის ძალით, თუ საფრანგეთმა გაილაშქრა გერმანიის წინააღმდეგ, იტალიამ უეჭველად ჯარი უნდა მიაშველოს გერმანიასაო.

ოსმალეთი. ილდიზ-კიოსკში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იტალიის მეფის რუსეთში მისვლამ. იქა ჰგონებენ, რომ ამ სტუმრობას პოლიტიკური აზრი ჰქონდაო; იტალია და რუსეთი, ალბად, ერთმანეთს დაუახლოვდებიანო და ბალკანეთის საკითხში შეთანხმებით იმოქმედებენო. იტალიას ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდა ალბანია ავსტრიის მხრივ, ეხლა-კი მეგობრად გაიხადა რუსეთი და, რასაკვირველია, უფრო თამამად იმოქმედებსო. ეხლა იგი ინგლისსაც უპირებს

თვით თამარისა. ბევრის რჩევისა და თათბირის შემდეგ დიდებულებმა მიიღეს რჩევა ტფილისისა და ქართლის ამირას აბულ-ასანისა, რომ თამარის საქმროდ მოეყვანათ რუსეთის დიდის მთავრის ანდრიას შვილი გიორგი, **) რომელიც თავის ბიძის ვსევოლოდის მიერ გამოძევებული ცხოვრობდა ყივჩაყეთში. პირველის შეხედვით არ იყო ურიგო ეს რჩევა. გიორგი იყო გამოჩენილი თავის ჩამომავლობით და მასთან მართლ-მადიდებელი. ამას გარდა მისი სამშობლო—რუსეთი—ძალიან შორს იყო საქართველოზე, ასე რომ რუსის გამეფება საქართველოში არ უნდა ყოფილიყო საშიში პოლიტიკურად. გიორგის მოსაწვევად დიდებულებმა გაგზავნეს ყივჩაყეთს ტფილისის მცხოვრებელი მდიდარი ვაჭარი ზანქან ზორობაბელი. ამან მცირე ხნის შემდეგ მართლაც მოიყვანა გიორგი რუსი, რომელიც დიდებულებს მოეწონათ თავის მშვენიერის გარეგნობით. იმათ მაშინათვე მოლაპარაკება გამართეს რუსუდან დედოფალთან, რომ თამარი დაეთანხმებინა გიორგი რუსის შერთვაზე. თამარმა ამ წინადადებაზე ასე უპასუხა დიდებულებს: „როგორ შეიძლება ამ ნაირის საქმის ქმნა, როდესაც არ ვიცით ამ უცხო კაცის არც ქცევა, არც ჩვეულება, არც მხედრობის ნიჭი და არც სიქველის საქმენი. დაიცადეთ, ვიდრემდის გაიცნობდეთ მაგ კაცს“. დიდებულებმა არ შეისმინეს ეს საფუძვლიანი პასუხი თამარისა და ითხოვდნენ, რომ რაც შეიძლება მალე მომხდარიყო ქორწინება, რადგან, მათის თქმით, საჭირო იყო წინამძღოლი მხედრობისა. გიორგი რუსის შერთვაზე რომ უარზე იდგა თამარი, ზოგიერთთ დიდებულთ ახლა მეორე საქმროდ წამოაყენეს საბერძნეთის იმპერატორის ბიძაშვილი ალექსი. თამარმა ეს წინადადება უფრო შორს დაიჭირა და უარზე დადგა საზოგადოდ ქმრის შერთვაზე. დიდებულები მაინც არ ეშვებოდნენ და უფრო ჯიუტად ითხოვდნენ თამარისაგან გიორგი რუსის შერთვას. რუსუდანიც აჰყვა დიდებულებს და დაათანხმა თამარი, რომ გიორგი შეერთო. დიდის ამბით გადახდილ იქმნა ქორწილი თამარისა და გიორგი რუსისა (1185 წ.).

იმის შესაგნებად, თუ რა ნაირად მიაგნეს ყივჩაყეთში მყოფს გიორგი რუსს და რა ნაირად მოიწვიეს თამარის საქმროდ ვაჭრის საშუალებით, საჭიროა მოვიხსენიოთ, რა ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ყივჩაყებთან 1118 წლის შემდეგ, როდესაც დავით მეფემ გადმოიყვანა 40,000 ყივჩაყი და დაასახლა საქართველოში. ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებელის დროს მომხდარს ყივჩაყთა გადმოსახლებას საქართველოში თან მოჰყვა მთელის მეთორმეტე საუკუნის განმავლობაში მჭიდრო ერთობა და მისვლა-მოსვლა ყივჩაყთა და ქართველთა შორის. ყივჩაყნი, ცოტანი თუ ბევრნი, მუდამ გადმოდიოდნენ საქართველოში და შედიოდნენ სამსახურში. ზოგიერთნი ამათგან საკმაოდ წარჩინებულს თანამდებობასაც ღებულობდნენ თავიანთ სამსახურის დროს, როგორადაც ყუბასარი, რომელიც იყო მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი, ყუთლუ არსლანი, რომელიც იყო მეჭურჭლეთ-უხუცესი, და აბულასანი, რომელიც იყო ტფილისისა და ქართლის ამირა და გუზანი, ამ აბულასანის შვილი, რომელიც იყო კლარჯეთის და შავშეთის ერისთავი. ყივჩაყეთიდგან გამოსული ყივჩაყები არა სპობდნენ კავშირს თავის სამშობლოსთან და ნაცნობებთან წერილების წერის ან მისვლა-მოსვლის საშუალებით. მეორე მხრივ ქართველებსაც თავისუფალი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ყივჩაყეთში საალებ-მიცემოდ.

დიდებულს აბულასანს, რომელმაც პირველად დაასახელა გიორგი რუსი თამარის საქმროდ, ან უნდა პირადად სცნობოდა გიორგი რუსი მის ყივჩაყეთში ყოფნის დროს, ან თავის თვისტომთაგან, იქნება თავის შვილის გუზანისაგანაც, უნდა ჰქონოდა გაგონილი მისი ამბავი. აგრეთვე უნდა სცნობოდათ სხვა დიდებულებს ყივჩაყთაგან, რომელთა რიცხვი საქართველოში მაშინ საკმაო იყო. იმათ ყველამ მოინდომეს გიორგი რუსის მოწვევა თამარის საქმროდ. ამნაირად გიორგი რუსი იყო კანდიდატი საქართველოს სამსახურში მყოფ ყივჩაყთა, რომელთაც მის მოწვევით იქნება თავიანთ პირადის სარგებლობის მიღწევა უნდოდათ. ქართველთაც ზემოდ მოყვანილის მოსაზრებით მოიწონეს გიორგი რუსის კანდიდატურა და ამიტომ დათანხმდნენ მის მოწვევაზედ თამარის საქმროდ. იმის ვითარების და ხასიათის შესატყობად და მოსაწვევად იმ შემთხვევაში, თუ კარგი ცნობები შეიკრიბებოდა, გაგზავნეს ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი, სარწმუნოებით და ტომით ურია, რადგან ის, როგორც ვაჭარი, იყო ნამგზავრი ყივჩაყეთში და იქაურობის მცოდნე. ამას გარდა, რადგანაც ეს მინდობილობა კერძო ხასიათისა იყო და თავდაპირველად იგი საიდუმლოდ უნდა შენახულიყო, ამიტომ ვაჭრის და მასთან ურიის არჩევა სწორედ შესაფერისი იყო: მას ყურადღებას არავინ მიაქცევდა და გამოკითხვის დროს უფრო გულწრფელად მისცემდნენ ცნობებს გიორგი რუსზე.

დიდებულებმა დაიმშვიდეს გული. საქართველოს მხედრობას გაუჩნდა საერთო წინამძღოლი და ქართველებმა იწყეს ლაშქრობა გიორგი რუსის წინამძღოლობით. პირველად გიორგიმ გაილაშქრა ყარსისა და კარნიფოლის ქვეყნებში, მოარბია ისინი და გამარჯვებული დაბრუნდა. ამის შემდეგ გაილაშქრა დვინის ქვეყანაში, მას უკან გელაქუნისაში და ბოლოს მოილაშქრა განჯის ქვემო მხარე ბალყუნამდე და არაქსის პირი მასისამდე.

ქართველები ყველგან იმარჯვებდნენ, არბევდნენ ქვეყნებს და ტყვითა და ალაფით ბრუნდებოდნენ უკან. ამის შემდეგ მოსაზღვრე ხალხები იძულებულები შეიქმნენ ხელი აეღოთ დროგამოშვებითს შემოსევაზე საქართველოს არემარეში და მტრობის მაგიერ მეგობრობა დაუწყეს თამარ მეფეს.

მართალია, გიორგი რუსი კარგი მხედარი გამოდგა, მაგრამ მასთანვე მან გამოიჩინა საძაგელი ზნენი: ლოთობა, გარყვნილობა და სხვა ცუდი საქციელი. თამარის სიტყვები გამართლდნენ, რომ საჭიროა გავიცნოთ კაცი და მერე გადავწყვიტოთ ქორწინებაო. დიდებულებს სცხვენოდათ თამარისა და ნანობდნენ, რომ თითქმის ძალად შერთეს მას ასეთი უზნეო კაცი. თამარი მოთმინებით უცქეროდა გიორგი რუსის საძაგელს ქცევას და ცდილობდა როგორმე გაესწორებინა. ჯერ მიუჩინა საპატიო და გავლენიანი სამღვდელო პირები, რომ დაერიგებინათ, მაგრამ გიორგი რუსი არ იშლიდა. მერე თითონ თამარმა პირადად დაუწყო მხილება და დარიგება. რუსმა უარესობა დაიწყო, შეურაცხებას აყენებდა საპატიო პირებს და თამარის უკმაყოფილებას არად აგდებდა. მაშინ თამარმა ხელი აიღო გიორგიზე და ახლო აღარ მიიკარა. ესღა უნდოდა რუსუდანს და დიდებულებს. იმათ გადასწყვიტეს, რომ გიორგი რუსი განეშორებინათ თამარისგან და სრულებით გაეძევებინათ საქართველოდგან. როგორც შეეფერებოდა სამეფო პირს, დიდის პატივით გაისტუმრეს გიორგი რუსი კონსტანტინეპოლს (1188 წ.).

დ. კარიჭაშვილი.

(შემდეგი იქნება)

**) ჩვენი მატიანე არ იხსენიებს თამარის პირველის ქმრის სახელს და უწოდებს მხოლოდ რუსს. მისი სახელი გიორგი მოხსენებული აქვს სტეფანოზ ორბელიანს (Histoire de la Siounie p. 222), რომელსაც რუსეთის ისტორიაც ემოწმება.

დაახლოვებას, და ამ ამბავმა ხომ სულ მოსწყვიტა წელი სტამბოლელ პოლიტიკოსებს.

სხვა-და-სხვა წერილები

ისტორიის ნიმუშები მეფისა და კათალიკოზისაგან.

1.

ქ. ღ̃ან უწმიდესის საქართველოს პატრიარხის ჭირი მისცეს საცოდავით დარჩომილს გედევანიშვილს გოგიას ქვრივსა და ობლებს. მერე ამას მოვახსენებ თქვენ უწმიდესობასა. ხვნა არა მაქვს და თესვა. საცა ორიოდე დღის მიწა მაქვს თქვენი წყალობა, ვინცა ხნავს, ღალას არ მაძლევს. ამისი მოწყალება მიბოძეთ, უჩემოდ არავინ მოხნას. ვინც მოხნას, ღალა მომცეს რამე, ხელმწიფევ. ჩემი ობლების საზრდო ეს არის. მაშ რით ვიცხოვრო, ჩემო ხელმწიფევ.

ქვეშით აშიაზედ არის წარწერილი რეზოლიუცია ანტონის მიერ:

გედევანიშვილო, ბეციავ, ამ არზით ასე რომ მოუხსენებია. რაც ამას მამულები ჰქონდეს, უამისოდ ნურავინ მოხნავს და თუ მოხნას ვინმე, ღალა გამოურთვი და ამის გარდა, პატარაკაცმა თუ მამულის გასყიდვა მოინდომა, ქვრივსა და ობლებს მისცეს. სხვაგან გაყიდვა არ იქნება, და ტიალიძის მამული ვისაც ეჭიროს, ისიც გამოურთვი და მოაბარე და ვისაც ამისი ნება იყოს, იმას მოახსენევიონ და ღალა აძლიონ. აგვისტოს დ. ქ̃კს უპვ. (ხელი უწერია თვით ანტონ კათალიკოზსა; უპვ=1798 წ.).

ქ. ღ̃ნ ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს გედევანიშვილს რევაზიშვილს ბეციას. ამას მოვახსენებთ ხელმწიფეს—მამა ჩემს ობოლი დავრჩი. ამ ობლობით და უპატრონობით მეტად დამჩაგრეს და ჩემთვის შემბრალე და მოწყალე არავინ იყო. სახელი შიშველი მერქვა გედევანიშვილი და აღარც ყმა, აღარც საველი ჩემი ჩამომავლობისა აღარ მეჭირა, რომ მიიძლავრეს ყიზილბაშობასა, ოსმალობასა არეულობაში თურმე და ასე ობოლი და პატარა გხლებივარ. არ ვიცი, ვის რა უჭირავს ჩემი და ვის არა და მე-კი არა-რა მიჭირავს-რა.

ახლა თქვენის ხელმწიფობისათვის მომიშურებია და ვევედრები ერთ-ერთი სახელი გვებოძოს თქვენის მოწყალებით, ან თავ მგრგვალის მოურაობა და ან ძევსა, თუ თქვენი მოწყალების ნებაც ინებებდეს. ამ სიგლახაკიდგან დამიხსენით და თქვენი ხელმწიფობა საუკუნოდ გვალოცვინეთ თქვენის მეფობისა დ̃ სიხარულის დღეგრძელობად, ხელმწიფევ. მაისის იზ, ქ̃კს უჲჱ (=1780).

ერეკლეს ხელით არშიაზედ:

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერე ცოტას ხანს მოიცადე. ჯერ იმათის ნაქონის მამულისა და სახელის საქმე არ გადაწყვეტილა, თუ როგორ გაირჩევა და შენც იქიდამ უწილოდ არ დაგაგდებთ. მოიმედე იყავ. მაისის კა, ქ̃კს უჲჱ. [ბეჭედი ერეკლესი].

(განჩინება).

ქ. გოგია გედევანიშვილის ქვრივი უჩიოდა არზით პატარაკაცსა: მოხდომას, ავათ მოპყრობას, გალახვას და ავათ ხსენებასა. მამულებისა, სასახლოსა და ბაღის წართმევას. მისს უწმიდესობას ყოვლისა საქართველოს კ̃ზ პატრიარხს მეფის ძეს ანტონს მათ მონათ მოხელეთ გვებძანა ამათი სამართალი. ჩვენ ორნივე მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ. პატარაკაცმა ერთი ნასყიდობის წერილი წამოაყენა: მოგყიდე მე გედევანიშვილმა გოგიამ ერთი დღის მიწა შენ, პატარაკაცსაო. მაგრამ ეს გოგიას ქვრივი მიუგებდა: ეგ მიწა ჩემს პატრონს არ მოუყიდიაო, არც ცოცხალი იყოო და სიკვდილს უკან არის ეგ დაწერილიო და არც არა ფასი მოუციაო. მახათაძე მღვდელი იოანნე მოვაყვანინეთ და ფიცით ვკითხეთ: გოგია გედევანიშვილმა დაგაწერინა ეს ნასყიდობის წერილი, თუ არაო. ამ მღვდელმა ფიცით აღვიარა, გოგია გედევანიშვილი მკვდარი იყოვო, მაგრამ იმისმა ცოლმა და დედამ დამაწერინაო. რადგან გოგია გედევანიშვილი მკვდარი იყო, იმის მაგიერ არ უნდა დაწერილიყო და ეს ქვრივ-ობოლნი ეუბნებოდნენ, მამულების ქრთამიაო. დაგვტყუე ეგ მიწა მამულებს გიპოვნიო. ფასი არ მოგიციაო. ჩვენი მამულებიც სხვას დააჩემე და ეგ წიგნიც დაგვტყუეო, რადგან გოგიას დედის ანდერძის წიგნი დ̃ სოფელიც ემოწმება წერილით, რომ ეს საქმე მოტყუებით ყოფილა. ეს მიწა ამ ქვრივს და ობლებს დარჩა. და თუ პატარაკაცი სარწმუნოს მოწამეს მოიყვანს, რომ ამ მიწაში ფასი მიეცეს, რაც ფასი მიუცია, ისევ უკანვე უნდა მიეცეს პატარაკაცსა. სახლზედა, კალო-საბძელზედა და ბოსტანზედ რომ დაობდნენ, რომ ნათხოვრად ჰქონია გოგიასაგან. წიგნი რომ მისცემია პატარაკაცსა, ის წიგნი სამართალში უნდა წამოაყენოს. რაც იმ წიგნში უწერია, ის სამართალი მიეცემა და თუ ესენი არ უწერია და საბუთი არა აქვს-რა, ამ გოგიას ქვრივსა და ობოლს დარჩა. პატარაკაცს საქმე არა აქვს-რა. ამას გარდა მიხდომას, ავად მოპყრობას, გალახვასა და ავად ხსენებას რომ ჩივის ქვრივი და ობოლი, იმის პასუხი უნდა მისცეს პატარაკაცმა. რომ მოწმით ამტკიცებს სოფლის აზნაურიშვილითა და გლეხითა, პატარაკაცს თუ ამ გოგია გედევანიშვილის ქვრივისა და ობლებისა მამულები დაეჩემებინოს ვისთვისმე და ან თავისთვის დაეჩემებინოს, შეწყნარებული არ იქნება და ამეების პასუხიც უნდა მისცეს. ჩვენ ასე გავშინჯეთ და ნება მათის უწმინდესობისა აღსრულდეს. იასაულო, სარდალო ერასტი და გედევანიშვილო იოსებ, ეს ასე აღასრულეთ. მაისის ა, ქ̃კს უპვ [სახლთხუცესი მაღალაძე ამილბარი] [დ თ უ] [ბეჭედი თათრული წარწ.].

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს კ̃ზ პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე ანტონი განჩინებასა ამას ვამტკიცებ. მაისის გ, ქ̃კს უპვ.

(ხელი უწერია თვით ანტონს).

ქ. მეტეხის მოურავისშვილო ანდრიავ და გედევანიშვილო იოსებ, როგორათაც ეს განაჩენი აცხადებს, ეხლავ ასე უნდა აღასრულოთ და თუ სიტყვა აქვს რამე პატარა კაცს, სამართალში ელაპარაკოს. აგვისტოს კ, ქ̃კს უპთ. (=1801 წ.)

ბეჭედი როგორაც პირველია.

[სახლთხუცესი მაღალაძე ამილბარი.]

კახის მასწავლებელი გ. ფარადაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

სოფელი როდინაული (ქუთაისის მაზრა). კვირას, 7 ივლისს, საღამოს 8 საათზედ, გაიმართა წარმოდგენა ეკკლესიის მახლობლად ა. ჩუბინიძის სახლში. წარმოადგინეს „ჭკუისა-მჭირს". ქალი და კაცი ბევრი დაესწრო, ისე ბევრი, რომ როცა წარმოდგენა გათავდა და მაყურებლები აიშალნენ, მეტის-მეტ სიმძიმისაგან სახლს იატაკი ჩაუტყდა. შემდეგ შ. ვარდოსანიძემ ვახშამი გამართა ეზოში და დილის 4 საათამდე არ შეუწყვეტიათ ცეკვა-თამაში.

ვანო.

—

სურამი. მკათათვეში ადგილობრივი მცხოვრებლები აპირებენ საბავშვო საღამოს გამართვას განზრახულ საკვირაო სკოლის სასარგებლოდ.

—

როგორც გადმოგვცეს, ამ სეზონში დაბა სურამში წარმოდგენების გამართვას აპირებს ჩვენი უნიჭიერესი მსახიობი ვლ. ალ.-მესხიშვილი; ორიოდ წარმოდგენის გამართვას აპირებს აგრეთვე ქალბატონი გაბუნია-ცაგარლისა. აქ სეზონშივე აპირებს ბ-ნი ქორიძე რამდენისამე კონცერტის გამართვას. რუსული კონცერტები ხომ ყოველ დღეა.

—

18 ივლისს დ. სურამს ადგილობრივი ინტელლიგენცია ძმათა ლოტუევების პარკში გამართავს წარმოდგენას. წარმოადგენენ „ადვოკატ მელაძეს", კომ. 2 მოქ. ივ. მაჩაბლისას. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი: ლექსებს წაიკითხავენ რუსულსა და ქართულს ენაზე...

მადლობის გამოცხადება

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ ნესტორ ივანეს ძეს მიქაბერიძეს, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა ყუმისთავის სკოლის სასარგებლოდ ათ მანეთად ღირებული საათი, რომელიც გაიყიდა და სკოლას დარჩა წმინდა შემოსავალი 15 მ.

ნესტორ მიქაბერიძის მაგალითი სწორედ წასაბაძია; ამ პატივცემულ პირს დიდი ღვაწლი მიუძღვის ყუმისთავის სკოლის დაარსებისა და მოწესრიგების საქმეში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ყუმისთავის სკოლა არსებობს, მხოლოდ ამ ადამიანის შრომა-მეცადინეობით. იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ნესტორ მიქაბერიძე არც შემდეგში მოაკლებს ამ სკოლას თვალ-ყურს. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ სხვებიც წაჰბაძვენ ნესტორ მიქაბერიძეს და შეძლებისა-და-გვარად შემწეობას აღმოუჩენენ ამ ნორჩს და ღარიბს სკოლას.

მასწავლებელი გერასიმე ხაჟომია.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

17 ივლისს.

პეტერბურგი. გუშინ, 16 ივლისს, იაპონიის პრინცი კომატცუ პეტერგოფის სასახლეში მიღებულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის მიერ. დარბაზობის შემდეგ უმაღლესი სტუმარი გაემართა პეტერბურგს, სადა ჰნახა პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარი და გვირგვინით შეამკო იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ის საფლავი.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი დღეს დაბრუნდება პეტერბურგს.

კლემენტიევო. 17-ს ივლისს, დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მობრძანდა კლემენტიევოს სოფელს, არტილერიის სროლას დაესწრო და იქიდგან ბოროდინოს წაბრძანდა.

ლოძი. გერმანული „ლოძის გაზეთი" იუწყება, რომ რკინეულობის ბაზარი ამ ქვეყნისა გაცხოველდა. ზოგიერთი ქარხნები განუწყვეტლივ მუშაობენ.

ხარკოვი. აქაურს ნარდად საქონლის გამყიდველ საწყობებში დიდი მოძრაობაა კარგის მოსავლის გამო სამხრეთს რუსეთში.

ლონდონი. გაზეთს ,,ტაიმსს" შანხაიდგან აუწყებენ, რომ ადგილობრივ საბანკო კომისიას ეცნობა, ინგლისი და ჩრდ. ამერიკის შტატები უარს ამბობენ, ვერ დავიყოლიებთ სხვა სახელმწიფოებს, რომ მიიღონ ჩინეთისაგან საზღაური ვერცხლის ფულითა და არა ოქროთიო.

ლონდონი. მეფემ გუშინ შეიძლო რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ჯოხზე დაბჯენით.

პინსკი. გლეხ-კაცობამ შესწირა 3000 მან. სახელოსნო სკოლის დასაარსებლად.

ემდენი. ობერბურგომისტრის მისალმების შემდეგ იმპერატორმა ვილჰელმმა წარმოსთქვა სიტყვა: ჩამოვარდა-რა ლაპარაკი იმპერიის აღდგენის შესახებ, მან ბრძანა, რომ პირველი ადგილი იმპერიაში უჭირავს პრუსიას და მის მეფეს აქვს საჭირო შინაგანი ხელმწიფება. ამ საფუძველზედ დამყარებულთ შეგვიძლიან ხელ-ახლა შევუდგეთ იმის აღსრულებას, რაც მუდამ გულში გვქონდა. შემდეგ იმპერატორმა ილაპარაკა ქალაქ ემდენის დამსახურების შესახებ.

ბელგრადი. სკუპშჩინამ ამოირჩია პრეზიდენტად რისტა პაპოვიჩი, რომელიც ითვლება მთავრობის მომხრეთა უმრავლესობის კანდიდატად.

პეტერბურგი. პარასკევს აბისინიის დესპანი აბუნა მათეოსი მოსკოვზე გაივლის სევასტოპოლს, საიდგანაც წავა გემით ჯიბუტს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,, ...	46,27½
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა . . .	94½ „
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467¾ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	289 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89⅝ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9600 გაყ.
აქციები ,, ...	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4200 „
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	346 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	170½ —

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 23 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა.

1. დათა, სანო, ალექსი და ნიკო კოშაძეთა და თ. ნომან ჯავახოვის დავა 870 მანეთზე.
2. თევდორე კუსაკინისა და არჯევან მორთხაიშვილის საქმე 100 მანეთზედ.
3. ზაქარია და სხვ. მღებრიშვილებისა და თ. ივ. ერისთავის საქმე მამულის მფლობელობის აღსადგენად.
4. სიმონ ჯავახოვისა და დავით ვარსიმოვის საქმე —29 მანეთისა.
5. ანტონ ახაბაძისა და ანტონ იაშვილის დავა 40 მანეთზედ.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესახებ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბახვა ჯანჯღავასი და პუპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბახვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პუპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1063 მანეთზედ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია"

თავად სუმბათაშვილებისა, რომელსაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37$_{50}$ ც. ფასი მცირეა. კონკ[illegible] დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (ნ.—წლ.)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ავაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემეცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად ამ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე სულიერ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამოდ მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლ დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა .	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К. .	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ .	,, 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. .	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა. .	„ 10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი .	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . .	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	,, 40
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	,, 10
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა .	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა . .	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . .	,, 5
დედა, ანდერსენისა	,, 8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	,, 30
კუბიკები ქართულის ანბანისა .	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა	,, 50
ევდოშვილისა	,, 50
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი .	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . . .	,, 20
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К. .	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა . .	,, 15
დენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій Е.ропов съ, К. .	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა .	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ .	,, 3
ამბავი მადლის ქვისა	,, 5
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშ.	15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . . . 1 მ.	,, 50
თამარ-დედოფლის სამკაული . .	,, 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა .	,, 50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.